

## საქნახშირი

### პრესრელიზი

წვრილფრაქციური ნახშირის გამამდიდრებელი უბნის მშენებლობა ტყიბულის ქარხანაში დასრულდა

2012 წლის 12 აგვისტოს წარმატებით დასრულდა წვრილფრაქციური ნახშირის გამამდიდრებელი უბნის მშენებლობა ქ. ტყიბულში მდებარე ნახშირის გამამდიდრებელ ქარხანაში. საქნახშირის და თურქული კომპანია CWP-ს სპეციალისტების მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით განხორციელდა სპირალური გამამდიდრების ტექნოლოგიური ხაზის დამონტაჟება. შედეგად, ფართო საწარმოო პრაქტიკაში პირველად დაინერგა წვრილფრაქციური ნახშირის გამამდიდრების სპირალური მეთოდი.

ახალი ტექნოლოგიის მეშვეობით ყოველდღიურად დამატებით დაახლოებით 100-120 ტონა მაღალკალორიული ნახშირი მიიღება.

27.08.2012

---

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა. კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე.

